ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყاروთმცოდნეობის განყოფილების

ყოველწლიური
სამეცნიერო

კონფერენცია

პროგრამა • მოხსენებათა მოკლე შინაარსები

კონფერენცია ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს

19 დეკემბერი, 2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების

ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენცია ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს

2025 წლის 19 დეკემბერი

პროგრამა
და
მოხსენებათა მოკლე შინაარსები

თბილისი • 2025

რედაქტორი:
სოფიო ქადაგიშვილი

ISBN 978-9941-8-7954-8

DOI: 10.51364/sourcestudies.2025.12.19.1

© ავტორები, 2025

დაკაბადონება:
დალი ჯვარშეიშვილი
გარეკანის დიზაინი:
მანუჩარ გუნცაძე

კრებული დაიბეჭდა
შპს „ეკო ივერიის" სტამბაში
თბილისი, რობაქიძის გამზ.7/4

პროგრამა

რეგლამენტი:

მოხსენება – 15 წუთი

შეკითხვები – 5 წუთი

ჩატარების დრო:

2025 წლის 19 დეკემბერი

ჩატარების ადგილი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მისამართი:

უნივერსიტეტის ქ. N.2, კორპუსი 11, თბილისი

სესია I

თავმჯდომარე: **მარიამ ჩხარტიშვილი**
11:30-11:50 კონფერენციის გახსნა, მისალმებები

11:50
რომელი წლით უნდა დათარიღდეს ქართული წყაროს ავტორის მონათხრობი მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის შესახებ
ვახტანგ გოილაძე

12:10
რამდენიმე ახალი წარწერა აფხაზეთიდან
ლია ახალაძე

12:30
ვახტანგ მეექვსე როგორ მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი და თანადროული ევროპის გამოცდილება
მაია ნაჭყებია

12:50
ცნობები მეფე ერეკლეს იტინერარის შესახებ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობიდან
ალექსანდრე თვარაძე

13:10
კვლავ ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* წყაროთმცოდნეობითი ანალიზისათვის:
„ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა“
მარიამ ჩხარტიშვილი

13.30 –14.00
შესვენება

სესია II

14:00
ქართლის (იბერიის) სამეფოს საეკლესიო
გეოგრაფიიდან: საეპისკოპოსოები
გიორგი ჭეიშვილი

14:20
უცხოური საისტორიო წყაროებისა და *ქართლის
ცხოვრების* ცნობების შედარება რამდენიმე
საკითხის გარშემო
პაპუნა გაბისონია

14:40
სოციალური ისტორია: დასავლური და პოსტსაბჭოთა
პერიოდის ქართული გამოცდილების შედარება ოჯახის
კვლევის მაგალითზე
ეკა კვაჭანტირაძე, ზურაბ თარგამაძე

15:00
ოჯახის კვლევა დასავლურ ისტორიოგრაფიაში
სოფიო ქადაგიშვილი

15:20
ლითონის აღმნიშვნელი სახელწოდებები *ქართლის
ცხოვრების* მიხედვით
ქეთევან ქუთათელაძე

15:40
„ჩვენ“/“სხვა“ დიქოტომიის აღქმა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში: კირიონ მეორის შეხედულებების ანალიზი
ნინო გაბინაშვილი

16:00-17:00
დისკუსია, კონფერენციის შეჯამება, დახურვა

მოხსენებათა მოკლე შინაარსები

რამდენიმე ახალი წარწერა აფხაზეთიდან

ლია ახალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნაწილს, რომლებიც არა მხოლოდ წარსული ეპოქების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაზე გვაწვდის ინფორმაციას, არამედ მნიშვნელოვანი წყაროა ენის, რელიგიისა და ხელოვნების, ზოგადად, კულტურის განვითარების შესასწავლად. ეპიგრაფიკული ძეგლების საშუალებით წინარე ეპოქის ადამიანები უხილავ ძაფებს აბამენ თანამედროვეობასთან და ეპოქებს შორის ერთიან კულტურულ ისტორიული განვითარების ჯაჭვს ქმნიან: მოგვითხრობენ ისტორიულ ამბებს, რელიგიურ შეხედულებებს, პირად ემოციებს, წინარე ეპოქის ადამიანთა ცხოვრების, რწმენის, ურთიერთობებისა და კულტურის საიდუმლოს.

კონცეპტუალურად, ეპიგრაფიკულ ძეგლები შინაარსობრივად აერთიანებს წარსულის შესახებ ისეთ ინფორმაციებს, როგორიცაა ისტორიული მოვლენები, რელიგიური რწმენა და მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი წყობა და სოციალური ფენები, ენობრივი და კულტურული განვითარების დონე, მატერიალური კულტურისა და ყოველდღიურობის შესახებ ინფორმაციები და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენენ წინარე ეპოქის ადამიანთა წერილობით დაფიქსირებულ,

ხშირად დაუკორექტირებელ შეხედულებებს, მოცემული ეპოქის რეალობის შესახებ; გვიჩვენებენ, როგორ ფიქრობდნენ, რა სჯეროდათ და როგორ ქმნიდნენ საკუთარ სამყაროს – ერთი სიტყვით, ეპიგრაფიკული ძეგლების საშუალებით წინარე ეპოქის ადამიანები გვესაუბრებიან და სამეცნიერო ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით, მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც რეალურ, შეულამაზებელ ისტორიულ პირველწყაროებს. ეს ემოციური კონტექსტი, სრულებითაც არ უკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობას ეპიგრაფიკულ ძეგლებს, პირიქით, მიუთითებს წარწერების მაღალ წყაროთმცოდნეობით ღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, თითოეული ახალი წარწერა, რომელიც არქეოლოგიური გათხრებისა და სხვა სამეცნიერო დაკვირვებების, ან შემთხვევითობის საფუძველზე ნახულობს დღის სინათლეს, მეცნიერისთვის არის როგორც ემოციური, კულტურულ-ისტორიული კავშირი წინარე ეპოქის ადამიანების შეხედულებებთან და ესთეტიკასთან, ასევე წმინდა რაციონალური, სამეცნიერო ინტერესისა და კვლევის სფერო.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, უნებართვო არქეოლოგიური სამუშაოებისა და შემთხვევით მოძიებულ ეპიგრაფიკულ მასალას. რეგიონი, რომელიც არასოდეს გამხდარა სპეციალური საველე-ეპიგრაფიკული კვლევის არეალი და მხოლოდ ცალკეული სამეცნიერო ინტერესებისა და კვლევითი სამუშაოების დროს გამოვლენილი ეპიგრაფიკული ძეგლებს მოიცავს, მაინც აერთიანებს

აფხაზეთის კონფლიქტამდე გამოვლენილ ასამდე წარწერას, რომელთა ერთად თავმოყრა და გაერთიანება 90-იან წლებში განხორციელდა. დღეს ამ წარწერებს, XXI საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოჩენილი რამდენიმე ახალი წარწერა შეემატა.

ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია აფხაზეთში უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი წარწერების შესახებ, ისინი დალაგებულია არეალური პრინციპით, ანბანის რიგზე, რომელსაც ემთხვევა წარწერების სახელდებაც. აქედან, ორი წარწერა უკვე გამოქვეყნებულია 2006 და 2011 წლებში ვალერი სილოგავას და ჩვენ მიერ, ხოლო დანარჩენი წარწერების შესახებ ინფორმაცია პირველად ქვეყნდება.

1. ანუხვის ტაძარი, წარწერა კანკელზე, XI ს.

წარწერა აღმოჩნდა 2025 წელს გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანუხვაში, სადაც გასული ორი საუკუნის მანძილზე ხუთზე მეტი ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერაა აღმოჩენილი. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია კირქვის ორნამენტირებულ ქვის ფილაზე, რომელიც სპეციალურად გამზადებულია წარწერის ტექსტისთვის. წარწერას ახლავს ქარაგმის ნიშანი – გრძელი განივი ხაზი, განკვეთილობის ნიშანი სამწერტილი. ასომთავრული გრაფემები შესრულებულია ხელოვნებითი დამწერლობით და წარმოადგენს კიდურწერტილოვანი ქვის კალიგრაფიული სკოლის ნიმუშს. ასომთავრულ წარწერაში მოცემულია იოანეს სახარების დასაწყისი სიტყვები: „ქ. პ(ი)რვ(ე)[ლ]

(ი)თ(ა)გ(ა)ნ იყო ს(ი)ტყ [ვაჲ]”[1], პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა თარიღდება X-XI სს.

წარწერა ძვირფას მასალას წარმოადგენს, როგორც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ასევე პალეოგრაფიული თვალსაზრისით და ახალ, დამატებით არგუმენტაციას გვაწვდის ქართული ანბანის კიდურწერტილოვანი ქვის კალიგრაფიული სკოლის განვითარების ისტორიაში.

2. ბედიის ტაძარი, იოანე ფარეზასძის წარწერა, X ს.

2000-იან წლებში ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, ბედიის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში აღმოჩნდა ასომთავრული წარწერა ანტეფიქსზე, რომელიც პირველად წაიკითხა და გამოაქვეყნა ვალერი სილოგავამ. მეცნიერი წარწერაში კითხულობს იოანე ფარეზასძის სახელს: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჲ(ო)ვ(ა)ნე, მ(ა)დ(ი)დ(ებელი) მ(ა)თი ფ(არ(ე)ზ(ა)სძე“[2]. წარწერის გრაფიკული და სხვა პალეოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში შემოთავაზებული წარწერის ახლებური წაკითხვა: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჲ(ო)ვ(ა)ნე, მთ(ავარეპისკოპო)ზი ფ(არ(ე)ზ(ა)სძე“.

წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და პალეოგრაფია საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტექსტში დასახელებული მთავარეპისკოპოსი იოანე ფარეზასძე პირველი ბედიელი მღვდელმთავარი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, წარწერა X საუკუნის 80-90-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

[1] ასომთავრული წარწერები წარმოდგენილია მხედრული ტრანსლიტერაციით.

[2] ვალერი სილოგავა. *ბედიის ტაძრის ანტეფიქსი და მისი წარწერა,* გულანი, N2 (6), ახალციხე, 2009. გვ. 116-123.

3. ვარდანის წარწერა, საბერიოს ტაძარი, 1184 -1191 წწ.

2019 წელს, გალის მუნიციპალიტეტის სოფელ საბერიოს მკვიდრმა, ინჟინერ-ენერგეტიკოსმა შალვა საბულუამ[3] სოფელ საბერიოს სიძველეებზე საუბრის დროს, გადმოგვცა საბერიოს მთისწინა ზოლში, ქართული ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი ასომთავრული წარწერის ფოტოები. ფოტოზე წარწერის არასრულყოფილი ხედვა ხელს უშლის მის სრულყოფილ წაკითხვას.

სამსტრიქონიანი, ასომთავრული, კიდურწაისრული წარწერა ამოკვეთილია კირქვის უხეშად დამუშავებულ ქვის ფილაზე. ქარაგმის ნიშანი გრძელი, განივი, კიდურისრებიანი ხაზი, განკვეთილობის ნიშანი ზოგან ორწერტილი, ზოგან სამწერტილი.

წარწერაში იკითხება: „ქ (რისტე) ადიდენ ერისთავთ / ერ(ისთავი) ვარდ(ა)ნ; წმიდაი გ(იორგ)ი [მეოხ ექმენ] / წინ(აშ)ე ძნ?/ ჩუენ[სა]“.

წარწერაში დასახელებული ისტორიული პირი – ერისთავთ ერისთავი ვარდანი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ვარდან დადიანი, გიორგი III-ისა და თამარ მეფის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც 1184-1191

[3] ბატონ შალვა საბულუას ორჯერ შევხვდით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველად 2019 წლის 18 აპრილს და მეორედ, იმავე წლის 17 მაისს. იგი 25 წელი მუშაობდა ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურში ინჟინერ-ენერგეტიკოსად, გარდაიცვალა ორი წლის წინ. ეს იყო უაღრესად განათლებული, ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით *ვეფხისტყაოსნის* ზედმიწევნით კარგად მცოდნე ქართველი, რომელიც აფხაზეთში, ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენით იყო დაინტერესებული. მეორე შეხვედრის დროს, გადმოგვეცა საბერიოს ტაძარში აღმოჩენილი წარწერის ფოტოები, თუმცა წარწერაზე გამოსახული ქვის ფილის არასრულყოფილი ხედვის გამო, ვთხოვეთ წარწერიანი ქვის ფილის სრული სურათი გადაეღო და გამოეგზავნა. სამწუხაროდ, მან ეს ვერ შეძლო, თუმცა რამდენჯერმე დაგვირეკა და გვთხოვა წარწერა იმ სახით მაინც გამოქვეყნებულიყო, რის წაკითხვასაც ჩვენ შევძლებდით.

წლებში, საქართველოს სამეფო კარზე მსახურთუხუცესის სახელოს ფლობდა. წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და პალეოგრაფია ტაძრისა და წარწერის XII საუკუნით დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. თანამედროვე აფხაზეთის ეს ნაწილი, განვითარებულ შუა საუკუნეებში ისტორიული ოდიშის საერისთავოს ნაწილი იყო, ხოლო XVI-XVIII სს.-ში ოდიშის მთავრის გამგებლობაში შედიოდა. საგულისხმოა, რომ ეს არ არის საქართველოს სამეფო კარის მოხელეთა აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელების პირველი შემთხვევა. ამ თვალსაზრისით, ცნობილია ლიხნის, ჭლოუს, წებელდის, წკელიკარის და სხვა წარწერები, რომლებშიც საქართველოს სამეფო კარის სხვადასხვა ეპოქის მოხელენი მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები არიან დასახელებული.

წარწერა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის კუთხითაც. წარწერის ტექსტიდან ჩანს, რომ საბერიოს მთისწინა ზოლში არსებული ძველი ტაძარი აგებული უნდა იყოს XII საუკუნეში წმინდა გიორგის სახელზე.

4. სალომე ანჩაბაძის წარწერა, ღუმურიშის ეკლესია, 1886 წელი.

ცხრასტრიქონიანი მხედრული წარწერა აღმოჩენილია 2006 წელს გალის მუნიციპალიტეტის სოფელ ღუმურიშის ეკლესიის ეზოს გაწმენდის დროს. წარწერის ფოტო გადმოგვცა სოფლის მკვიდრმა, ჩვენმა სტუდენტმა ნინო ფარულავამ. წარწერა მოგვითხრობს კნეინა სალომე კაცია ანჩაბაძის ასულის მიერ ახალგაზრდა მეუღლის „პროპორშიკ“ კიაზო ასაყვასძე ემხვარის საფლავის ქვისა და ეპიტაფიის დადგმის ისტორიას.

წარწერაში იკითხება: „ლოდსა ქვეშე ამისა მდებარეობს გვამი/ პროპოშიკ კზ[4] არისტო[5] ასაყვასძის/ ემუხვარისა, რომელიც გარდაიცვალა/ ამიერ სოფლიდგან 1886 წლის მარტიშ დღე/სა შობიდგან 35 წლისა/ საუკუნოდ იყოს ხსე/ ნება მისი. ლოდი ესე დავსდგი საყ(უა)რე/ ლმან მეუღლემან მისმან კნეინა/ სალომე კაცია ანჩაბაძის ასულმა“.

მხედრული ტექსტიდან ირკვევა, რომ საფლავი ეკუთვნის „პრაპორშიკ“ „კნიაზ“ არისტო ასაყვასძეს ემხვარს და საფლავი და წარწერა გაკეთებულია მისი მეუღლის სალომე ანჩაბაძის მიერ 1886 წლის მარტში.

წარწერა საინტერესოა როგორც ისტორიული, ასევე ონომასტიკური კვლევის თვალსაზრით. მასში დასახელებულია ადგილობრივი ფეოდალური ოჯახის წევრები: არისტო ემუხვარი, მისი მამა ასაყვა ემუხვარი, კნეინა სალომე ანჩაბაძე და მისი მამა – კაცია ანჩაბაძე. როგორც ჩანს, ღუმურიში და მისი შემოგარენი ემუხვარებისა და ანჩაბაძეების პირად მამულს წარმოადგენდა. წარწერა გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ, 2006 წელს.[6]

5. საფლავის ქვის ეპიტაფიები, ღუმურიშის ეკლესია XIX ს. 70-80-იანი წლები.

2023 წელს ღუმურიშის ეკლესიის რესტავრაცია-რეკონსტრუქციისას, ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა საფლავის ქვის ეპიტაფიები (2 წარწერა). წარწერები გადმოგცა ღუმურიშის მკვიდრმა ნინო ფარულავამ. სამსტრიქონიანი წარწერები შესრულებულია ნუსხურნარევი მხედრულით.

---

[4] სავარაუდოდ, კ(ნია)ზ

[5] პირველი წაკითხვით „კზიურისტო“, ლია ახალაძე, კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან, საისტორიო ძიებანი, VIII-IX, წელიწდეული, თბილისი, 2006, გვ. 210.

[6] ლია ახალაძე, კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან, *საისტორიო ძიებანი, VIII-IX, წელიწდეული,* თბილისი, 2006, გვ. 208-211.

ორივე წარწერის ტექსტიდან ირკვევა, რომ ისინი საფლავის ქვის ეპიტაფიები იყო.

გარდა ზემოთ ხსენებული წარწერებისა, აფხაზეთიდან უნდა იყოს ტყვიის ბეჭედი, რომელიც 2015 წელს ცხრა ბიზანტიურ ბეჭედთან ერთად აღმოჩნდა ყირიმის სამხრეთ სანაპიროს მახლობლად. ტყვიის ბეჭდის შუბლზე იკითხება „წმიდაჲ გიორგი“, ხოლო ზურგზე ამოკვეთილი წარწერა ადასტურებს, რომ იგი „აინახვის მონასტერს“ ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ბერძნული მიტროპოლიის მეთაური დოროთე დბარი უარყოფს აღნიშნული წარწერის და ნივთის ანუხვის ტაძრიდან წარმომავლობას,[7] მეცნიერებაში მყარადაა დასაბუთებული მისი სადაურობის საკითხი.[8]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ოკუპაციის პირობებში რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლებზე ვერ ხორციელდება საველე ეპიგრაფიკული და ხელოვნებათმცოდნეობითი სახის სამუშაოები, ქართული ეპიგრაფიკის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის, განსაკუთრებით ქართული ანბანის მკვლევრები ვერ ახერხებენ ძეგლებზე მუშაობას, ეს მხარე ახალ-ახალ აღმოჩენებს გვთავაზობს და საუკუნეების სიღრმიდან ძველი ქართული წარწერების საშუალებით გვესაუბრება.

---

[7] Dorotheos Dbar. *GEORGIAN SEAL OF THE BYZANTINE TYPE OF THE 11TH CENTURY: DOES IT COME FROM THE VILLAGE OF ANKHUA (ABKHAZIA)?,* იხილეთ ლინკი: https://www.academia.edu/90177795/GEORGIAN_SEAL_OF_THE_BYZANTINE_TYPE_OF_THE_11TH_CENTURY_DOES_IT_COME_FROM_THE_VILLAGE_OF_ANKHUA_ABKHAZIA_?fbclid=IwY2xjawN_V0JleHRuA2FlbQIxMABicmlkETFJRkZvZVd4Q0lhS2ZWSDBQc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHoxdv02oQixnfOPbARiArOtuE4p4qzHfmPOPD7a8unh42qReK0BDjMjaiEEE_aem_ar1CTIBAjUnSMXiBe90K7A

[8] ვ. ჩხაიძე, ა. ვინოგრადოვი, შ. გუგუშვილი, აინახვის წმ. გიორგის მონასტრის XI საუკუნის ბეჭედი, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი,* ტ. 26. გვ. 271-278; ლ ახალაძე. ანუხვის მონასტრის არტეფაქტების ისტორიული მნიშვნელობა, *ქართული წყაროთმცოდნეობა,* 2021. გვ. 19-26.

„ჩვენ“/„სხვა“ დიქოტომიის აღქმა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში კირიონ მეორის შეხედულებების ანალიზი

ნინო გაბინაშვილი
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული როლი აქვთ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს, მათ შორის, სასულიერო პირებს. ისინი ეროვნული იდეების შემქმნელებად და გამავრცელებლად გვევლინებიან. მათი იდეები ხელს უწყობს ერთობის თვითცნობიერების ჩამოყალიბებას და განმტკიცებას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად ხდებოდა ქართველი ერის ფორმირება და, შესაბამისად, მიმდინარეობდა ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ფორმირებაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფიგურა იყო კირიონ მეორე, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი (1855-1918).

მის ბიოგრაფიას, საზოგადოებრივ მოღვაწეობის გზას სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი შეხებია. თუმც, მისი რეალური წვლილი ქართული იდენტობის ისტორიაში მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ წარმოჩენილად. მაგალითად, ჯერ კიდევ სრულად არაა გაანალიზებული კირიონ მეორის შეხედულებები იმ თემებთან მიმართებით, რომლებიც ქართულ იდენტობრივ ნარატივს ანუ ქართველი ერის იდეას შეადგენს.

ქართული ნაციონალური იდენტობრივი ნარატივი შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნეში მთელი ქართული კულტურული ელიტის და, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძის მიერ. ეს პროცესი კარგადაა აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში მარიამ ჩხარტიშვილის მიერ, რომელიც ერების კონცეპტუალიზაციის პროცესს ეთნო–სიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში განიხილავს. სწორედ მისი მიდგომა არის ჩემი კვლევის საფუძველი. მ.ჩხარტიშვილი ქართული ეროვნული იდენტობრივი ნარატივის ფორმირებას სწავლობს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მაგალითის მიხედვით, მე კი ამ პროცესს დავუკვირდები კირიონ მეორის შეხედულებების ანალიზის საფუძველზე.

როგორც მარიამ ჩხარტიშვილმა აჩვენა, ქართული ეროვნული იდენტობრივი ნარატივი მრავლისმომცველი დისკურსია და ზოგადად ის პასუხობს ეროვნული კოლექტიური კულტურული იდენტობის წრთობისათვის სამ უმნიშვნელოვანეს კითხვას: „ვინ ვიყავით“, „ვინ ვართ“, „ვინ ვიქნებით მომავალში“. სწორედ ამ საკითხებისადმი კირიონ მეორის დამოკიდებულება არის ჩვენთვის საინტერესო და მაგალითად მოყვანილ მასალასაც შესაბამისი კრიტერიუმით შევარჩევთ. ერთ მოხსენებაში ეროვნული იდენტობრივი ნარატივის შემადგენელი ყველა საკითხის განხილვა შეუძლებელია. ამიტომ, კვლევის ფოკუსში მოვაქცევთ მხოლოდ ერთ, თუმც განსაკუთრებით მნიშვნელოვან, საკითხს. ესაა „ჩვენ”/„სხვა“ დიქოტომიის გააზრება კირიონ მეორის მიერ. „ჩვენ“ კოლექტივი ყოველთვის განისაზღვრება „სხვათა“ მიერ.

გამოკვლევის წყაროთა ბაზას ქმნის ბეჭდური მედია, კერძოდ, „ივერიის“ 1887-1905 წლის ნომრებში კირიონ მეორის ავტორობით, ასევე ფსევდონიმებით („ბერი“,

„გ.საძაგელოვ-ივერიელი“, „სასოებაძე“) გამოქვეყნებული სტატიები, პიესები, წერილები და ფელეტონები.

როგორც ირკვევა, კირიონ მეორის „ჩვენ“ იდენტობა გააზრებულია ერთობად, რომელიც მარკირებულია საერთო ენით, რწმენა-წარმოდგენებით, ისტორიული მეხსიერებით, სახელოვანი წინაპრებით, საზიარო კულტურით. კირიონ მეორის აზრით, „ჩვენ“ ერთობის კონსოლიდაციისთვის მნიშვნელოვანია ამ მარკერების წარმოჩენა და გაფრთხილება.

მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას ემსახურებოდა. თავად ხსნიდა სასწავლებლებს, იყო მასწავლებელი, ადგენდა სახელმძღვანელოებს და სამეცნიერო ნაშრომებს. ეპარქიებში მსახურობისას თავად კრებდა უნიკალურ და ისტორიულ დოკუმენტებსა თუ ხელნაწერებს და „ივერიის“ საშუალებით აცნობდა საზოგადოებას. კირიონ მეორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები დღესაც არ კარგავს სამეცნიერო ღირებულებას.

ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია გამორჩეულ ნაციონალისტ ლიდერებთან, რომლებიც ერის მამებად მოიაზრებიან. სწორედ ასეთ ეროვნულ მოღვაწეს წარმოადგენდა კირიონ მეორე. მისი ცხოვრებისეული კრედო მისივე ფრაზით შეიძლება წარმოვაჩინოთ „ყველაფერი მობეზრდება მამულიშვილს გარდა მამულიშვილობისა“.

უცხოური საისტორიო წყაროებისა და ქართლის ცხოვრების ცნობების შედარება რამდენიმე საკითხის გარშემო

პაპუნა გაბისონია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქართლის ცხოვრებაში შემავალ ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის *ცხოვრებაში* დაცულია ცნობა, რომ ვახტანგ მეფის მეორე მეუღლე იყო „ბერძენთა კეისრის“ ანუ ბიზანტიის იმპერატორის ასული ელენე. ეს პერიოდი ბიზანტიაში ლეონ I დიდის (მაკელე) მეფობას ემთხვევა. როგორც ცნობილია, ლეონ I დიდს ორი ასული ჰყავდა. ორივე მათგანს სხვა სახელი ერქვა და მათი მეუღლეების ვინაობაც კარგად არის გარკვეული. მაგრამ, ვახტანგის *ცხოვრებაში* ხშირად არის ნახსენები ლეონ ანთიპატი (პატრიკიოსი, სარდალი), როგორც ვახტანგ მეფის მოკავშირე. შესაძლებელია, სწორედ ამ ლეონის ასული იყო ელენე დედოფალი. ჯუანშერის ცნობას, რომ ქართლის მეფეს ცოლად ბიზანტიის კეისრის ასული ჰყავდა, უპირობოდ მცდარად ვერ ჩავთვლით, რადგან სარდალი ლეონი შემდგომში მცირე ხნით თვითგამოცხადებული იმპერატორი იყო. აქედან გამოდინარე, ქართველ მემატიანეს თავისუფლად შეეძლო ჩაეთვალა ელენე დედოფალი კეისრის ასულად.

მეორე საკითხი ვახტანგ მეფის მეტსახელ გორგასალს ეხება. ჯუანშერის საყოველთაოდ გავრცელებული ცნობის თანახმად, ქართლის მეფეს ოქროს მუზარადი ეხურა, რომელზეც მგელი და ლომი იყო გამოსახული. ბრძოლაში სპარსელი მეომრები ერთმანეთს აფრთხილებდნენ მორიდებოდნენ ვახტანგ მეფეს („მოერიდეთ

თავსა მგლისასა – დურ აზ გორგასალ”). საფიქრებელია, რომ ეს ავტორის ლიტერატურული ინტერპრეტაცია უფრო უნდა იყოს. ძველ სპარსულ ეპოსში *ხვადაი ნამაკში* ნახსენებია სპარსელების წინააღმდეგ მედგრად მებრძოლი თურანელი (ძველი თურქი) ლეგენდარული გმირი გორგსარი. სრულიად შესაძლებელია დავუშვათ, რომ ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფეს ამის გამო დაერქვა ეს მეტსახელი.

ვახტანგ გორგასლის უკანასკნელი ბრძოლა მდინარე იორთან მოხდა, სადაც მეფე დაიჭრა. ამ ბრძოლას ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ სამგორის სახელითაც მოიხსენიებენ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ნინოწმინდის სამხრეთით, მდ. იორთან არის ადგილი სამგორი. საინტერესოა, რომ მდინარის მარცხენა მხარეს გორაკზე დგას სვეტიცხოვლის პატარა ტაძარი. ბრძოლის წინ ქართლის მეფის ლაშქარი განლაგდა ადგილზე, რომელსაც ერქვა დარფაკა. სახელწოდება აშკარად სპარსულია. ირანში, გილანის პროვინციაში ყველაზე მაღალ მთას დარფაკი ჰქვია. ქალაქ რეშტის სტადიონიც ამ სახელს ატარებს. დარფაკს ირანში ბუდეს უკავშირებენ. წმინდა ნინოს *ცხოვრებიდან* ვიცით დაბა ბოდი. შესაძლებელია ეს სახელწოდება გარკვეულწილად ბუდეს უკავშირდებოდეს. თუ ეს მოსაზრება სწორია, დარფაკა შეიძლება თანამედროვე ნინოწმინდის სიახლოვეს იყო, სადაც ორიოდე კილომეტრში მდინარე იორი მოედინება.

ჯუანშერის გამგრძელებლის ცნობით, ჰორმიზდ შაჰმა თავის ძეს ქასრე ამბარვეზს მისცა რანი და მოვაკანი საგამგეოდ. ქასრემ ქართლის ერისთავებიც გადაიბირა და მათ საშვილიშვილოდ დაუმტკიცა მამულები. ეს ცნობა სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ჰორმიზდ IV-

ის ძე ხოსრო II აფარვეზი იგივე ფარვიზი საყოველთაოდ ცნობილია. ეს მეტსახელი „გამარჯვების მომპოვებელს“ ნიშნავს. *შაჰ-ნამეს* მიხედვით, მამამ იგი სამხრეთ კავკასიში გაამწესა. აფარვეზი ად-დუნავარის მიხედვით არის „ქისრი აბარვიზი“, აქედან არის ეს სახელი ქართულ მატიანეში შეტანილი.

რომელი წლით უნდა დათარიღდეს *ქართული წყაროს* ავტორის მონათხრობი მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის შესახებ

ვახტანგ გოილაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

I. როგორ დათარიღდა „ქართული წყაროს“ ცნობა 735-736 წლებით.

ჯუანშერის გამგრძელებლის (ქვემოთ *ქართულ წყაროდ* მოვიხსენიებ) მონათხრობი, რომელშიც ქართლსა და დასავლეთ საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობაა აღწერილი, ვახუშტი ბატონიშვილმაც შეიტანა თავის თხზულებაში, მაგრამ მურვანმა როდის ილაშქრა საქართველოში, არაფერი უთქვამს. ვახუშტის შემდეგ 1889 წელს გამოცემულ *საქართველოს ისტორიაში* დ. ბაქრაძემ აღნიშნა: მურვანი 717 წელს ლაშქრობს საქართველოში,

შედის კახეთში, 735 წელს ამარცხებს ალანებს, 737 წელს – ხაზარებსა და ლეკებს – 739 წელს, მაგრამ *ქართულ წყაროში* მოთხრობილი ამბავი როდის მოხდა, ამის შესახებ არ მიუთითებია. ასეა მოსე ჯანაშვილის მიერ 1894 წელს გამოცემულ *საქართველოს ისტორიაშიც* (გვ. 57-58).

ი. ჯავახიშვილი 1914 წელს გამოცემულ *ქართველი ერის ისტორიის* მეორე წიგნში აღნიშნავს: მურვანი 729-730 წლებში იყო გამოგზავნილი ხალიფა ჰაშიმის მიერ. მურვანი-მერვან II, მართლაც, მუჰამედის შვილი იყო.[1] „ჯუანშერის ცნობა თავისთავად-კი ისეთს არაფერს შეიცავს, ან დასაჯერებელი არ იყოს, ან მტკნარს შეცდომას წარმოადგენდეს; მხოლოდ ამ ლაშქრობის დასასრულში ჩართულია ზოგიერთი ვითომც სასწაულებრივი შემთხვევები“ (გვ.80).

ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილის სიცოცხლეში, 1935 წლის 2 ნოემბერს წაკითხულ მოხსენებაში ს. ჯანაშიამ

---

[1] *ქართული წყაროს* ავტორს, ცნობა მურვან ყრუ რომ „მომადის“ (მუჰამადი) ძე იყო (ქ.ც. I გვ. 233), როგორც ჩანს, უცხოენოვანი ავტორიდან აქვს აღებული. ეს მითითება ი. ჯავახიშვილმა ისტორიულ რეალობად მიიჩნია და Стенли Лен-Пулъ-ის *Мусулъманские династий*-ს ვ. ბარტოლდისეული რუსული თარგმანი დაიმოწმა. არაბი ავტორის ეს შეცდომა შეამჩნია კ. ბოსვორტმა და *Мусулъманскйе династий*-ის თავის გამოცემაში განმარტა: ომაიდების დინასტიიდან მუავია I, მისი შვილი იაზიდ I და შვილიშვილი მუავია II, მუავია I -ის მამის – აბუ სუფიანის ჩამომავლები იყვნენ. მარვან I ალ-ჰაკიმი და მისი ჩამომავლები ომაიდების აბუ სუფიანის ბიძაშვილის აბუ სუფიან ალ-ჰაკიმ აბულ-ლ-'ასა უმაინის მეორე შტოს განეკუთვნებოდნენ (Босворт К. Э., Мусулъманские династии, გვ. 29, შენ. 1).
ამ შენიშვნის მიუხედავად, 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, სადაც არაბთა ლაშქრობებია გაანალიზებული, ქართული წყაროს ცნობა მურვანი რომ მუჰამედის ძე იყო, ბ. სილაგაძემ ისტორიულ რეალობად მიიჩნია: თითქოს მურვან ყრუს – მუჰამად იბნ მურვანის მამასაც – მურვან იბნ მუჰამადი ერქვა. ბ. სილაგაძის შემდეგ არაერთ ავტორთანაა მითითება მურვან ყრუ რომ მუჰამადის შვილი იყო (მაგ. დ. მუსხელიშვილი, ნ. ასათიანი და სხვანი). ასეთი მტკიცების საშუალებას კ. ბოსვორტის წიგნში არსებული ომაიდი ხალიფების რიგი არ იძლევა.

მიუთითა, რომ მურვანმა 735 წელს ილაშქრა ხაზარეთში; 737-738 ალანეთში და ალანთა გზით კვლავ ხაზარეთში, ხოლო საქართველო, როგორც ჩანს, 736-738 წლებში დალაშქრა. იქვე, ი. ჯავახიშვილის დამოწმებით წერს: „ამრიგად ცხადი ხდება, რომ ქართველი მემატიანის თხრობა რომელიღაც ძველი კარგი წყაროდან არის ამოღებული, რადგან ზუსტად იცავს ისტორიულ ფაქტებს“.[2] ამის შემდეგ მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის შესახებ ს. ჯანაშიას თვალსაზრისი აისახა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში. მასში მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის შესახებ ქართულ წყაროში მოთხრობილი ამბავი 736-738 წლებითაა დათარიღებული. 1958 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, ძველი სახელმძღვანელოდან ს. ჯანაშიას თხრობაა შეტანილი, და აღნიშნულია: საქართველოს „იშვიათად დასტყდომია თავზე ისეთი უბედურება, როგორც 736-738 წლებში აქ არაბთა სარდალმა მურვანმა დაატრიალა“ (გვ. 117).

საქართველოში მურვან ყრუს იმ ლაშქრობის თარიღად, რომელზეც *ქართული წყარო* მოგვითხრობს, იგივე წლებია მითითებული ვ. გუჩუას და შ. მესხიას მიერ შედგენილ VII-VIII კლასებისათვის განკუთვნილ *საქართველოს ისტორიის* სახელმძღვანელოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში, ა. ბოგვერაძემ *ქართული წყაროს* აღნიშნული მონათხრობი პირველად დაათარიღა 735 წლით. მისი თქმით, 120-ათასიანი ლაშქარი მურვან ყრუმ 735 წელს შემოუსია საქართველოს. მას შემდეგ რაც 1979 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ა. ბოგვერა-

[2] ს. ჯანაშია. *შრომები*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, ტ. II.

ძემ მურვანის აღნიშნული ლაშქრობის თარიღად 735-736 წლები მიუთითა (გვ. 97), *ქართული წყაროს* ავტორის მონათხრობის დასათარიღებლად, ეს წლები იქნა მითითებული, შ. ხანთაძის მიერ 1984 წელს გამოცემულ *ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის* მე-7 ტომში მოთავსებულ წერილში – მურვან ყრუს შემოსევები საქართველოში. ამის შემდეგ ეს წლები ისტორიულ რეალობად იქნა აღიარებული და აისახა, როგორც საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, ისე სამეცნიერო ლიტერატურასა (მაგ. დ. მუსხელიშვილის მონოგრაფია, 2003, გვ. 370, შდრ. 2012 წ. გამოცემული *საქართველოს ისტორია*, ტ. II, გვ. 134) და საქართველოს ისტორიის სალექციო კურსებში (მაგ. ა. წოწკოლაურის *საქართველოს ისტორია*, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბ., 2017, გვ. 157. მასში მურვან ყრუს ლაშქრობები თარიღად მითითებულია 735 წელი).

II. ჯარაჰის მიერ „დაცვის სიგელის“ განახლება.

საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობა, რომლის შესახებ *ქართული წყაროს* ავტორი მოგვითხრობს, 735-736 წლებით რომ არ უნდა დათარიღდეს, ამას შემდეგი მოწმობს: არაბი სარდლის მასლამას შემცვლელად დანიშნულმა ჯარაჰმა თბილისში ყოფნისას 730 წელს ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ 654/5 წელს დადებული „დაცვის სიგელი“ განაახლა (Sin-50-ის ერთ მინაწერში ეს ამბავი „სარკინოზობის აღდგენადაა“ მინიშნებული). მასში ისევ დარჩა ძველი მითითება მოსახლეობის „უშიშროებისა და ზავის შეთანხმების“ შესახებ.

ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელით“ ნაკისრი აღნიშნული ვალდებულება სახალიფოს მესვეურებმა 656 წლიდან სახალიფოში მიმდინარე სამოქალაქო ომის

გამო ვერ შეასრულეს, „დაცვის სიგელის“ დამდები ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება ვერ დაიცვეს. ბიზანტიელთა დახმარებით ნერსე ბაგრატიონმა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ფარნავაზიანი აიძულა 680 წელს ოჯახთან ერთად ქართლი დაეტოვებინა და ეგრისში გადასულიყო. ბიზანტიის გავლენაში მოქცეული ქართლი და 650 წელს ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ხაზართა კაგანატი, ისე როგორც თვით ბიზანტიის იმპერია, სახალიფოსათვის მტრები იყვნენ. ამიტომ, ის დამანგრეველი ლაშქრობები, რომლებიც არაბებმა მურვან ყრუს და სხვათა სარდლობით საქართველოში მოაწყვეს, ჯარაჰის მიერ „დაცვის სიგელის“ განახლებამდე უნდა მომხდარიყო.

678/9 წლამდე არაბებმა 16-ჯერ დალაშქრეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. თავდასხმები გრძელდებოდა შემდეგაც – 692/3, 701/2 და 704 წლებში. მათგან თავისი სისასტიკით ხალიფა აბდ ალ–მალიქი (685-705 წწ.) ძმის, 693 წელს აზერბაიჯანის არმენიისა და ალ-ჯაზირის მმართველად დანიშნული მუჰამედ იბნ მურვანის მიერ 701-704 წლების ლაშქრობა გამოირჩეოდა. ამბოხებული მოსახლეების დასათრუგნავად მან ცეცხლი და მახვილით განვლო მთელი სომხეთი, აღმოსავლეთი საქართველო, არ-რანი, გაძარცვა და გადაბუგა ეკლესია-მონასტრები. განსაკუთრებით დიდი სისასტიკე ჩაიდინა სომხეთში. ამ ლაშქრობის შემდეგ უნდა ეწოდებინათ მისთვის „მურვან ყრუ“.

ჯარაჰის მიერ ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელის“ განახლების შემდეგ, არაბი ავტორების ცნობებიდან გამომდინარე – 732/3, 736, 739 წლებში მურვან ყრუმ ჩრდილო კავკასიაში ილაშქრა და ამ ლაშქრობათა აღმწერ არაბ ავტორებთან არსად საქართველო ნახსენე-

ბი რომ არაა, ეს ცხადია „დაცვის სიგელის“ სათანადო მუხლით უნდა აიხსნას. ასეთი დასკვნის მიღების მიუხედავად, ჩვენ დიდ მეცნიერებს ქართული წყაროს ავტორის მონათხრობი რადგან „სრულიად რეალური ვითარების ამსახველად“ მიაჩნდათ, *ქართული წყაროს* ავტორის მონათხრობი ხალიფა ჰიშამის (724-743 წწ.) თანადროულად, მურვან ყრუმ რომ საქართველოში ილაშქრა ბ. სილაგაძემაც 735-736 წლებში მომხდარად მიიჩნია.

III. ქართული წყაროს ავტორის მონათხრობის დათარიღება.

როგორც ითქვა, ი. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას *ქართულ წყაროში* არსებული თხრობა მურვან ყრუს ქართლსა, ეგრისსა და აფხაზეთში ლაშქრობების შესახებ, „ძველი კარგი წყაროდან ამოღებულად“ მიაჩნდათ (უფრო გვიან ასეთივე დასკვნამდე მივიდა დ. მუსხელიშვილი). აღნიშნულთან ერთად:

I. *ქართული წყაროს* ავტორის ცნობა მურვან ყრუს აფხაზეთში შესვლისას სობღის (რკინის) ციხეში რომ იმყოფებოდა „კეისრის ერისთავი ლეონი“ – ეს პიროვნება კი ლეონ ისავრიელია, რომელმაც 716 წლის 18 აპრილს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი დაიკავა (აფხაზეთიდან ლეონი 713 წელს წავიდა იმპერიაში), და 717 წლის 18 აგვისტოს არაბთა სარდალი მასლამა აიძულა კონსტანტინოპოლისათვის ალყა მოეხსნა, საფუძველს იძლევა *ქართული წყაროს* ავტორის მონათხრობი არაბი ავტორების იმ ცნობებიდან წარმომავლად მივიჩნიოთ, რომლებშიც 716-717 წლებში არაბების მიერ აბაზგების, ლაზებისა და იბერიელთა ქვეყნების დაპყრობაზეა მითითება.

II. ანაკოფიის ციხეში სტეფანოზ II-ის ძეები მირი და არჩილი ეგრისში მურვან ყრუს შესვლის შემდეგ გადავიდნენ, სადაც ლეონ აფხაზთა ერისთავთან ერთად შეებრძოლნენ მურვან ყრუს. აფხაზეთის ერისმთავრის ლეონ I-ის მმართველობის დასაწყისად, საცნობარო ლიტერატურაში, 720-იანი წლებია მიღებული, რაც *ქართული წყაროს* ავტორის ცნობებს რეალურობის საფუძველს უქმნის. III. მას შემდეგ რაც ბრძოლისას „მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბღუარისა“ და „მოსცა ძლევა....ქრისტიანეთა“, მურვან ყრუ იძულებული გახდა აფხაზეთი დაეტოვებინა. სტეფანოზ II-ის უფროსი ძე მირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა, უმცროსმა ძემ – არჩილმა კი, 719 წელს ლეონ ისავრიელისაგან დას. საქართველოში მიიღო ტერიტორია „კლისურიდან აღამართ შორაპნადმდე“, მას შემდეგ რაც არჩილის ეგრისში მოღვაწეობიდან „წარვიდა ..... წელიწადი თორმეტი“.[3] ის 731 წელს ქართლში გადმოვიდა, ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ III ბაგრატიონს თავისი სამფლობელო დას. საქართველოში კახეთში გაუცვალა, რის შემდეგაც სტეფანოზ III „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ ერისთავთა უფალად“ იწოდა (ეს ატენის სიონის სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერიდან ვიცით). წარწერაში დასახელებული „ღმრთივ გვირგვინოსანი“ პიროვნება არჩილ სტეფანოზ II-ის ძედაა მიჩნეული, იქვე მის გამეფების თარიღად 719 წელია მითითებული.

ამრიგად, *ქართული წყაროს* ავტორის ცნობები: 716 წლამდე (ცოტა ადრე) აფხაზეთში რომ ლეონ III ისავრი-

[3] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, 1955, ტ. I. გვ. 243.

ელი იმყოფებოდა, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასვლის შემდეგ, როცა 717 წლის აგვსიტოში კონსტანტინოპილიდან არაბთა შეტევები მოიგერია, არჩილსა და ლეონ აფხაზთა ერისთავს გვირგვინები გამოუგზავნა, ასევე ატენის სიონის ფრესკული წარწერის ცნობა არჩილი რომ 719 წელს გამეფდა, სრულ თანხვედრაშია არაბი ავტორების იმ ცნობებთან, რომლებშიც არაბთა მიერ აბაზგების, ლაზებისა და იბერიელთა ქვეყნების დაპყრობას შეეხება. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მურვან ყრუს ქართლში, ეგრისსა და აფხაზეთში ლაშქრობა 717 წლით უნდა დათარიღდეს.

ცნობები მეფე ერეკლეს იტინერარის შესახებ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობიდან

ალექსანდრე თვარაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენებაში განხილულია ცნობები მეფე ერეკლეს იტინერარის ერთ-ერთი ეტაპის (ნაწილის), მეფის კახეთში მგზავრობის შესახებ, რომლებიც შემონახულია იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობაში (შესაბამისი მონაცემები იხ.: გიულდენშტედ-

ტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 14-43 [მოგზაურობა თბილისიდან კახეთისაკენ და კახეთში]).

მეფე ერეკლეს კახეთისკენ მგზავრობა თბილისიდან დაიწყო 1771 წლის 21 თებერვალს, ხოლო თელავიდან თბილისში მეფე გამოემართა 1 აპრილს. მეფე თავის თანმხლებლებთან ერთად იმყოფებოდა გარე კახეთის, ქიზიყის, შიდა კახეთის და გაღმა მხარის შესაბამის დასახლებულ პუნქტებში. იტინერარის აღნიშნული ეტაპის ფარგლებში წარმოდგენილია პოლიტიკური ერთეულის მართვის მნიშვნელოვანი ნიმუში მგზავრობის, მეფის ადგილზე მისვლის საშუალებით. შეჯამების სახით წარმოვადგენ მეფის იტინერარისთვის, სახელმწიფოს მგზავრობით, მეფის გადაადგილების საშუალებით მართვისთვის მნიშვნელოვან ცალკეულ საკითხებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციას ვხვდებით მოგზაურობის აღწერილობაში.

მეფის კორტეჟში, რომელიც გადაადგილდებოდა ცხენების საშუალებით, 1.000 მეომარის ყოფნა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცნობას იმ საკითხის შესახებ, თუ რა ოდენობის შეიარაღებული ნაწილი ახლდა მეფეს თან გვიან შუა საუკუნეებში თავისი სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილების დროს. მგზავრობის ფარგლებში მეფე ერეკლეს მიერ ყოველდღიურად დაფარული მონაკვეთები შედარებით მცირეა, განსაკუთრებით ქიზიყში გადაადგილებისას (მაგ., დაახ. 6 კმ., 4 კმ., 5 კმ., 5,5 კმ. დღის განმავლობაში; მონაცემები წარმოდგენილია

პირდაპირი ხაზით, Google Maps პლატფორმის საფუძველზე), რაც უნდა მიუთითებდეს იტინერარის მოცემული ნაწილის ფარგლებში ქიზიყის, როგორც ერთ-ერთი საბაზისო რეგიონის, მნიშვნელობაზე. იტინერარის ეტაპის ფარგლებში ქიზიყის მნიშვნელობას ხაზს უსვამს კიდევ შემდეგი ფაქტორები: თუკი სხვა შემთხვევებში მეფის კორტეჟი შესაბამის ადგილებში, გარდა თელავისა, ერთი ღამისთევით ჩერდებოდა, სოფელ ვაქირში მეფე ერეკლე იმყოფებოდა 8 დღის, ხოლო სოფელ ანაგაში – 3 დღის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვანია ყოფნის ხანგრძლივობის კრიტერიუმის კუთხით; ამასთანავე, ქიზიყის ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში მონახულების სიხშირის თვალსაზრისით აღნიშნული ეტაპის ფარგლებში ფიქსირდება მეფის ორჯერ ყოფნა (სოფლებში მაღაროში, ბოდბეში), რასაც სხვა შემთხვევებში ადგილი არ აქვს. მეფის კორტეჟის მგზავრობის სისწრაფე ცალკეული დღეებისთვის სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო იდენტური, დაახ. 6-6,5 კმ. საათში (დაფარული მანძილის შესახებ მონაცემებს გიულდენშტედტი სავარაუდოდ ანგარიშობდა დროითი მონაცემების საფუძველზე). წარმოდგენილი მარშრუტებიდან ყურადღებას იქცევს მეფის თელავიდან უკან დაბრუნების მარშრუტი, ველისციხე – ჭერემი – მანავი – საგარეჯოს გზით. ადგილზე მისვლის საშუალებით სახელმწიფოს მართვის ფარგლებში მეფე ერეკლემ გაატარა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მაგ., სოფელ მაჩხაანთან მეფეს უნდა გადაეწყვიტა სამართლებრივ დავებთან დაკავშირებული საკითხები. ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოება, რომ მეფის

მარშრუტის დიდი ნაწილი მიჰყვება საზღვართან ახლოს მდებარე ან საზღვარის მიმართულებით განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს. სახელმწიფოს მგზავრობით მართვასთან ერთად შესაბამისი დატვირთვა ეკისრება დედაქალაქს, თბილისს, სადაც მეფე ერეკლე იმყოფებოდა კახეთში გამგზავრებამდე და კახეთიდან დაბრუნების შემდეგ. დედაქალაქების ან ქალაქების გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების სისტემა ამ დროისათვის თითქოს არ მოქმედებს.

ბოლოს შეიძლება აღინიშნოს, რომ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობაში წარმოდგენილი მონაცემები მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგადად შუა საუკუნეებში საქართველოს, ან ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველების იტინერარების ცალკეული ასპექტების რეკონსტრუქციისთვის.

სოციალური ისტორია: დასავლური და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული გამოცდილების შედარება ოჯახის კვლევის მაგალითზე

ეკა კვაჭანტირაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კავკასიის უნივერსიტეტი

ზურაბ თარგამაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კავკასიის უნივერსიტეტი

სოციალური ისტორიის წარმოშობა დასავლურ ისტორიოგრაფიაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრადიციული შეხედულებების გადახედვის მოთხოვნილებასთან, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული გახლდათ აშკარა მეთოდური და მეთოდოლოგიური უკმარობით, რაც ახასიათებდა მაშინდელ ისტორიოგრაფიას, ნაციონალური და დისციპლინური ჩარჩოების გამო, მეორე მხრივ, ამ ახალი მიმართულების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონია ინდუსტრიალიზაციის პროცესმა, რომლის შედეგადაც წარმოქმნილი მუშათა კლასისა და მისი სოციალური თუ კლასობრივი ხასიათის კვლევის სურვილმაც და აუცილებლობამაც ისტორიკოსებს უბიძგა არა სტანდარტულად ეკონომიკური ისტორიის კვლევის, არამედ საზოგადოების, როგორც ისტორიული კატეგორიის, სოციალური არსის გაგებისაკენ.

თუმც, დასავლეთში ოჯახის ისტორიის შესწავლა, მისი ჩამოყალიბება ცალკე დარგად, დაკავშირებულია XX საუკუნის 70-იან წლებთან და ის ცალსახად სოციალური ისტორიის განვითარების შედეგი იყო, - ოჯახი, როგორც სოციო-ისტორიული კატეგორია, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს საზოგადოების საფუძველს და რომელსაც, მეორე მხრივ, აქვს უნიკალური ისტორიული გამოცდილება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოლოგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებთან, შესწავლის საგანი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, 1884 წელს გახდა. ოჯახის სოციალური სტრუქტურის ფორმირებისა და მისი ეკონომიკური როლის კვლევას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში, რამაც, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ კვლევათა ხასიათი და მიზანდასახულობაც.

ოჯახის კვლევის ისტორიოგრაფია საქართველოში ძირითადად დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდთან, თუმცა ეკონომიკური ისტორიის შესწავლის კვალდაკვალ ამ საკითხს თავის დროზე შეეხო ივანე ჯავახიშვილიც. საბჭოთა პერიოდში ქართველი ისტორიკოსები მარქსისტული თეორიის გავლენით, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზისას აზუსტებენ ოჯახის სოციალური ინფრასტრუქტურის შესახებ უმნიშვნელოვანეს დეტალებს, როგორც სამეურნეო-ეკონომიკური აქტივობების, ასევე სოციალური სტრუქტურისა და კულტურის მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ოჯახის ისტორიის კვლევა მაინც სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობდა, რაც

გამოიხატებოდა თეორიული განზოგადების ნაკლებობასა და ემპირიული კვლევის სიჭარბეში.

რაც შეეხება ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს, შეგვესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ოჯახის კვლევის თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული ვითარება, კერძოდ, 90-იანი წლებიდან დღემდე, ისტორიის დარგში შესრულებული შრომები მიხედვით, აღმოჩნდა, რომ, ერთი მხრივ, ძალიან მცირეა სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიაში დაცული საკვალიფიკაციო ნაშრომების რაოდენობა, და, მეორე მხრივ, ფაქტობრივად არ არსებობს კვლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეთნოლოგიის დარგში შესრულებულ ნაშრომებს, რომელიც ფუნდამენტურად იაზრებს საქართველოში ოჯახის წარმოშობისა და განვითარების პრობლემას.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ კვლევა, რომლიც ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში: „ოჯახი შუა საუკუნეების საქართველოში წერილობითი წყაროების მიხედვით“, მნიშვნელოვანი შედეგების მომცემი იქნება არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არამედ აღნიშნული პრობლემის შესასწავლად საზოგადოდ.

ვახტანგ მეექვსე როგორ მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი და თანადროული ევროპის გამოცდილება

მაია ნაჭყებია
თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

1. XVII-XVIII საუკუნე, ბაროკოს ეპოქა, დიდი სამეცნიერო აღმოჩენების ხანაა. გალილეო გალილეიმ დაამტკიცა სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის არსებობა (1611), ნიუტონმა აღმოაჩინა მიზიდულების კანონი და შექმნა თავის ფუნდამენტური ნაშრომი *ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები* (1689), კარლ ლინეიმ *ბუნების სისტემაში* მოახდინა ბიოლოგიის სისტემატიზაცია (1735); ის, რასაც დღეს თანამედროვე ქიმია ეწოდება, სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა. ამავე პერიოდს უკავშირდება ლაბორატორიული ხელსაწყოების გამოგონება. ამ დროს შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები სამართლის დარგში, მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა ჰუგო გროცის *ომისა და მშვიდობის სამართალი* (1625).

2. მეცნიერული აზრის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად, XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში იქმნება სამეფო სამეცნიერო საზოგადოებები და სამეცნიერო აკადემიები: 1660 წელს დაარსდა ლონდონის სამეფო საზოგადოება, საფრანგეთში 1666 წელს, ლუდოვიკო XIV აფუძნებს საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიას, სამეცნიერო აკადემიები იქმნება გერმანიასა (1725) და ავსტრიაში. მეცნიერებათა აკადემიები ემსახურებოდა სამეცნიერო საქმიანობის მოწესრიგებასა და კოორდინაციას, ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას და მეცნიერების განვითარებას

ეროვნული წინსვლის ინტერესებში. გარდა სამეცნიერო საზოგადოების ცენტრალიზაციისა, მათი მიზანს წარმოადგენდა სამყაროს სისტემური შესწავლა, ახალი ცოდნის მიღება და მისი გამოყენება ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესისთვის.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებებს რაც შეეხება, XVII საუკუნეში გაჩნდა ინტერესი ნაციონალური ისტორიების შექმნისადმი. ამ პერიოდის ევროპაში ისტორიოგრაფია დამოუკიდებელ დისციპლინად განვითარდა, რომელიც კონცენტრირებული იყო წინა პერიოდის ისტორიული ნაშრომების ანალიზსა და კრიტიკაზე.

4. ევროპაში მეცნიერების განვითარების ამ ფონზე, სრულიად ჰარმონიულად ეხმიანება დევნილობაში მყოფი ქართველი მეფის მოღვაწეობა. მიუხედავად მისი მწირი შესაძლებლობებისა დიდ და ძლიერ ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, ვახტანგ მეექვსე გრანდიოზულ საქმეს აკეთებს, მისი ძალისხმევით, დროის შეგრძნებით, შორსმჭვრეტელობით და უდიდესი პასუხისმგებლობით საკუთარი ერის აწმყოსა და მომავლის წინაშე, ქართველი მეფე არ ჩამორჩება ევროპული სახელმწიფოების მიერ აღებულ ორიენტაციას თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის განვითარების საქმეში. ვახტანგ მეექვსეს მოღვაწეობის ხანა (1703-1737) ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ ნაყოფიერ პერიოდად ითვლება, ფასდაუდებელია ვახტანგ მეექვსეს წვლილი ერთი მხრივ როგორც მეცნიერისა, რომელიც დაინტერესებული იყო როგორც ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, იურისპრუდენციით და მედიცინით, მეორე მხრივ, როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა, რომელმაც ჩამოაყალიბა „სწავლულ კაცთა“ კომისია და დააფუძნა მეცნიერული დარგი – რუსთველოლოგია, იყო სასტამ-

ბო საქმის ორგანიზატორი, რასაც მოჰყვა პირველი ქართული ბეჭდური გამოცემები.

5. ვახტანგ მეექვსემ „სწავლულ კაცთა“ კომისიის დაარსებით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში: „საქართველო ... XIV-XVII საუკუნეების დაუწერელი ისტორიის აღდგენის აუცილებლობა პირველად მთელი სიცხადით სწორედ მან (ვახტანგ მეექვსემ – მ.ნ.) შეიგნო და ქართული საისტორიო მწერლობის ამ ოთხ-ხუთ საუკუნოვანი ხარვეზის ამოვსებისთვის მუშაობა გაშალა“ (ი. ჯავახიშვილი). ვახტანგ მეექვსის საკანონმდებლო ხასიათის ძეგლი – *დასტურლამალი* – მთავარ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომელიც აწესრიგებდა ქართულ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ურთიერთობას, ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხებს და დიდი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლის განმტკიცებაში. ვახტანგ მეექვსეს კალამს ეკუთვნის სახელმძღვანელო ქიმიაში, თარგმანები და ნაშრომები ასტრონომიაში, ასტრონომიული ტერმინოლოგიის დადგენა და სხვა.

6. დაბოლოს, „მსოფლიოში არც თუ ბევრია ამა თუ იმ მეცნიერების ისეთი დარგი, რომელსაც სამასწლოვანი ისტორია აქვს ... ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტით და მისი „თარგმანით“, ანუ კომენტარით რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარების მაგისტრალური გეზი ამ სამასი წლის წინ განსაზღვრა, რაც რუსთაველის პოემის კვლევის ევროპული ორიენტირია (მ. კარბელაშვილი). ამრიგად, ევროპული მეცნიერების განვითარების ტენდენციებთან სრულ უნისონშია ქართველი მეფის, ვახტანგ მეექვსეს მიერ გაწეული ტიტანური შრომა ქართული მეცნიერების განვითარებისთვის.

ოჯახის კვლევა დასავლურ ისტორიოგრაფიაში

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ევროპის უნივერსიტეტი

დასავლურ ისტორიოგრაფიაში ოჯახის კვლევას უფრო დიდი გამოცდილება, ვიდრე ჩვენთან, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. თანამედროვე სამყაროში სამეცნიერო შეზღუდვების შემცირებისა და კომუნიკაციის გამარტივების შედეგად, ქართული სამეცნიერო სივრცე უფრო მეტად დაახლოვა დასავლურ გამოცდილებასთან. სოციალური საკითხების, მათ შორის, ოჯახის კვლევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასავლურ ისტორიოგრაფიაში დაგროვილი ცოდნის გამოყენებას, რომელიც საშუალებას იძლევა დაისვას ახალი საკითხები და განვითარდეს ახალი ორიგინალური კვლევები.

ოჯახის კვლევით დაინტერესება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, თუმცა, ოჯახს, როგორც სოციალური ურთიერთობის ფორმას, ძირითადად სტატიკურად, ანუ უცვლელად განიხილავდნენ. აღნიშნულ მიმართულებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ანალების სკოლამ, რამაც ყურადღება გადაიტანა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ადამიანის აღქმებსა და ემოციებზე. ეს მიდგომა საშუალებას აძლევდა ისტორიკოსებს შეესწავლათ ისეთი საკითხები, როგორიცაა: მშობლებისა და შვილების შორის ურთიერთობის ინტენსივობა შუა საუკუნეებში, ოჯახური ბირთვის ფორმები, ოჯახის წევრთა

ცვლილებები დროის განმავლობაში და სხვა სოციალურ-კულტურული პროცესები და სხვა.

ოჯახის კვლევას დიდი ბიძგი მისცა ისტორიის კვლევის რაოდენობრივმა მეთოდმაც. ისტორიკოსებმა დაიწყეს მრავალი ჩანაწერის სტატისტიკურად დამუშავება, რომლის მეშვეობითაც მათ შეძლეს: ქორწინების საშუალო ასაკის დადგენა, ბავშვების რაოდენობისა და შობადობის ტენდენციების გამოვლენა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოთვლა, ოჯახური სტრუქტურის ტიპების განსაზღვრა.

მეოცე საუკუნის ბოლოს კულტურის კვლევებმა კიდევ უფრო გააფართოვა ოჯახის კვლევის არეალი. მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ემოციებს, სექსუალობას, მენტალიტეტებს და საცხოვრებელი სივრცეების სიმბოლიკას. აღნიშნულმა მიდგომებმა ხელი შეუწყო ოჯახის კვლევის ცალკე დარგის ჩამოყალიბებას. დღესდღეობით არაერთი სტატია, მონოგრაფია არსებობს, რომელიც აღნიშნულ საკითხს აქცევს კვლევის ფოკუსში. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ჟურნალი ოჯახის კვლევები, რომელიც ოჯახს სწავლობს არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ თანამედროვე კონტექსტშიც. ბოლო პერიოდში ინტერდისციპლინურმა მიდგომებმა (სხვადასხვა დისციპლინების – სოციოლოგიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის – კვლევაში ჩართვამ) ნათესაური კავშირებისა და ოჯახური ურთიერთობების შესწავლა და აღქმებზე დაკვირვება გახადა შესაძლებელი.

ლითონის აღმნიშვნელი სახელწოდებები *ქართლის ცხოვრების* მიხედვით

ქეთევან ქუთათელაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

სამთამადნო წარმოება საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი, რომელსაც თან ახლდა მადნიდან ლითონის მიღებისა და დამუშავების პროცესი, საბოლოოდ კი ლითონისგან სხვადასხვა ნაკეთობებისა და ნივთების შექმნა. მიჩნეულია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეები და ზღვისპირეთი წარმოადგენდა, როგორც ლითონმოპოვების, ასევე მისი გამოყენების მძლავრ კერას.

ლეონტი მროველი ჭოროხს „სპერის მდინარეს“ უწოდებს, ვახუშტი ბატონიშვილი უფრო აკონკრეტებს, რომ „შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთიდამ ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადვე“. ისპირი, იგივე სპერია.

სპერის სახელწოდებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომელიც ასევე ქართული ენით აიხსნება. სპერი ისტორიული მხარის სახელწოდებაა და იქ მომდინარე მდინარესაც სპერი ეწოდება, როგორც ჭოროხის ერთ-ერთი სახელწოდება. საინტერესოა, რას უდა ნიშნავდეს სპერი[1]. სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს საინტერესო სახელწოდებას – „სპერიმური“, რომელსაც ხსნის, როგორც „სპილენძ-ჭური“. იგი მას ერთი შეხედვით განმარტავს, როგორც „დიდი ნაღარა“, რადგან *ქართლის ცხოვრებაში* მოიხსენიება „სპერმური“. კერძოდ, – „ჰკრეს

[1] ერთი მოსაზრებით, „სპერ“-ს სასპერების სახელწოდებას უკავშირებენ.

სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა“; „მაშინ ჰკრეს სპერმურთა, და სცეს ზარი“. თუმცა, სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ნაღარა სხვათა ენაა, ქართულად სამბიკი და დუმბული ჰქჳან“, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „სპერმური“ ნაღარას ან მსგავსი საგნების ლითონის ნაწილზე უფრო უნდა მიუთითებდეს. მივყვეთ ენობრივ მასალას. სულხან-საბა ორბელიანი საკუთრივ სპილენძის გარდა მოიხსენიებს თითბერსა და რვალს. მკვლევარი ასევე განმარტავს, რომ „სპილენძსა და თუთია-აღრეულსა ბრინჯაო ეწოდების, ხოლო ბუნებით ყვითელს სპილენძსა თვითფერი“ (თითბერი - ქ.ქ.), რვალს კი შემდეგნაიტად განმარტავს: „ესე არს სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამოასხამენ სარეკელ ზარად, ლინთა („რვალის საჩხარუნებელი“) და ეჟვანთა და ზარბაზანთა და ანდრიატთა“. ამრიგად, მკვლევარი ბრინჯაოს სპილენძისა და თუთიის შენადნობს უწოდებს და არა სპილენძისა და კალის, რომელიც კლასიკურ ბრინჯაოდ არის მიჩნეული.

რვალი ფშავურ დიალექტზე სპილენძს ნიშნავს. ძველი ქართულ ენის ლექსიკონში რვალთან დაკავშირებით მნიშვნელვანი ინფორმაციაა დაცული. იგი განმარტებულია, როგორც სპილენძი, მისგან მზადდებოდა ბჭე, ბორკილი. რვალად გადაქცევას „განრვალება“ ერქვა. არსებობს ასევე სიტყვა „რვალნაწლევი“ („რვალნაწლეო, შემიწყალე მე“) ანუ „სპილენძის ნაწლევიანი“, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც სპილენძის შიგთავსიანი (შდრ. „ნაწლევი – მუცლის შიგანური“ (სულხან-საბა ორბელიანი) და მეტაფორულად ავხსნათ, როგორც რვალივით მტკიცე. ქართულ სპილენძს შეესატყვისება სვანური

„სპელენჯ/სპილენჯ“-ი[2] და მეგრული „ლინჯი/ლგნჯი“. ამ-რიგად, სპილენძ-ჭური, უფრო ლითონთან ასოცირდება, ვიდრე კონკრეტულ ნივთთან, ასეც განიხილავს სულხან-საბა ორბელიანი, როდესაც ჭურის (შდრ. „საჭურველი/ სპილენძ-ჭური“), როგორც აბჯრის მნიშვნელობაზე საუბ-რობს (შდრ. „ჭურვილი“/„შეჭურვილი“ ჯავშნით/ჯაჭვით შეკაზმული). აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე „სპარა-ზენი“[3] – „ესე არს ყოვლითა საჭურველითა შეჭურვილი და მჴნე“, ასევე მებრძოლი. ძველი ქართული ენის განმარტე-ბით ლექსიკონში „სპარაზენება“ შეჭურვილობას ნიშნავს. დიალექტური მასალიდან „სპერიმურს“, როგორც ლითო-ნის აღმნიშვნელ სახელწოდებას სემანტიკურად ასევე ესადაგება იმერულ დიალექტზე „მურა“ – „რკინის რგოლი, მჭედელნი ხმარობენ ლურსმნის თავის გასაკეთებლად“. ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით იმიტომ მიმოვიხილეთ, რომ სპერის მხარე, რომელიც მოიცავდა მდინარეების ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის სათავეებს, დიაოხის წი-ნარესახელმწიფოებრივ გაერთიანებაში შედიოდა, რო-მელიც ყოველთვის მდიდარი იყო ფერადი და კეთილ-შობილი ლითონებით, ამას ადატურებს დიაოხის მეფეთა ხარკი ურარტელი მეფეების მიმართ და მისი მოხსენიება მდიდარ ქვეყნად ურარტულ წყაროებში. მეფე არგიშთის წარწერაში აღნიშნულია, რომ დიაოხის მეფემ მას ხარ-კის სახით მისცა 41 მინა (505 გრამი) სუფთა ოქრო. 37 მინა ვერცხლი, 10 000 მინა სპილენძი. არ არის გამორიცხული, რომ აქ სპილენძის ადგილობრივი საბადო და ფერადი

[2] სვანურად სპილენძს ასევე ეწოდება „ჩეი“.

[3] არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა, სახელწოდება „სპარსანგელოზიც“, რომელიც მხედართა და მოლაშქრეთა ღვთაებად არის ცნობილი, „სპარაზენს“ უფრო უკავშირდებოდეს და არა ქვეყნის სახელწოდება „სპარსეთს“, რომელიც ხალხური ეტიმოლოგიით არის უფრო ახსნილი.

ლითონის დამუშავების კერები იქნებოდა. გარდა ამისა, როდესაც დიაოხი ურარტუმ და კოლხამ შუაზე გაიყვეს, მისი ჩრდილოეთი ნაწილი კოლხას შემადგენლობაში მოექცა, რომელიც სწორედ ჭოროხის ხეობას მოიცავდა და ბერძნულ მითოლოგიაში ისიც ლითონით მდიდარ ქვეყნად მოიაზრებოდა. ქართველ ტომთა განსახლების არეალი ყოველთვის ითვლებოდა მეტალურგიის დაწინაურებულ მხარეებად. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ლითონთან დაკავშირებული სახელწოდებები ქართულმა ენამ შემოგვინახა, რაც სავარაუდოთ აისახა ზემოაღნიშნულ ტოპონიმში. „სპერის მდინარედ“ წოდებული ჭოროხი შავ ზღვას უერთდება, რომელიც ქართულ წყაროებში „სპერის ზღვად“ იწოდება.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ერთგვარად ეხმიანება სოფ. „ნასპერის“ სახელწოდება ლეჩხუმში (ცაგერის რნი), რომელიც უძველესი ქართული მეტალურგიის ერთ-ერთ კერად ითვლება საქართველოში. იგი „ნა“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია. ლეჩხუმის სოფლების ცხეთადეხვირის მეტალურგიული ნიმუშებიც ამ მხარეში გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის გავრცელების არეალზე და შავი და ფერადი მეტალების არსებობაზე მიუთითებს. ქართველ ტომთა განსახლების სხვადასხვა არეალში ერთი და იგივე სახელწოდების არსებობა უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ საქმე გვაქვს ერთი და იგივე საქმიანობიდან გამომდინარე მხარისა და ადგილის სახელდებასთან, რომელიც მეტალურგიას უკავშირდება და ქართული ენით აიხსნება. ორივე რეგიონი, როგორც ჭოროხის ხეობა, ასევე ლეჩხუმიც მეტალურგიის მთავარ კერებს წარმოადგენდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე.

ლითონის აღმნიშვნელი სახელწოდებიდან *მოქ-ცევაი ქახთღისაი* ასახელებს „სარკინე ქალაქს“ თავის დიდი ციხით, რომელსაც შემდეგ ქართლის ცხოვრება „დიდი მცხეთის“ ერთ-ერთ უბნად მოიხსენიებს. ვახუშ-ტი ბაგრატიონი „სარკინეს“ „სარკინეთის“ ფორმით აღ-ნიშნავს, რომელიც „ეთ“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმაა. „სა-რკინ-ე“ სა-ე პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია, რომელიც, ჩვენი აზრით, უკავშირედება რკინას, რკი-ნის სიუხვეს, ან მის წარმოებას, ან რკინისგან რაიმეს დამზადებას“. სარკინეში ჩატარებულმა არქეოლოგიურ-მა გათხრებმა დაადასტურა, რომ აქ ლითონწარმოების ერთ-ერთი უძველესი მეტალურგიული კერა იყო. ნაპოვ-ნია რკინის მადნის გამოსაწური ქურები, რკინის დამუშა-ვების ნაშთები, რკინის იარაღები და რკინის სხვადასხვა ნაწარმი. აგრეთვე აქ ნაპოვნია ტყვიისა და სპილენძის სადნობი ქურებიც, ბრინჯაოს სხვადასხვა საგნები. ქი-მიური ანალიზის შედეგად, მიკვლეულია, რომ ლითო-ნის სხვადასხვა ნიმუშები შეიცავენ 99 და 86 პროცენტით ტყვიას, 88 პროცენტით რკინას. ყურადრებას იმსახუ-რებს ის ფაქტი, რომ სარკინესა და მის მიდამოებში ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რკინის საბადოები არ არის აღმოჩენილი. ამ საკითხით დაინტერესებული მეც-ნიერები ფიქრობენ, რომ რკინის მადნის შემცველი ქვე-ბის გადმოზიდვა უნდა მომხდარიყო მტკვრის მარჯვე-ნა სანაპიროდან და რკინის ქვის საბადოსაც მცხეთის მფლობელები აკონტროლებდნენ. ამის შემდეგ ხდებო-და ქვის დამტვრევა, ქურაში გამოწვა და რკინის გამო-წურვა, რაც ხე-ტყის დამუშავებასთანაც იყო დაკავშირე-ბული, ქურების ასამუშავებლად. სავსებით ვეთანხმებით ა. აფაქიძის მოსაზრებას, რომ „სარკინე ქალაქს უნდა

მიეცა ძველი დედაქალაქისთვის იარაღ-საჭურველი“. არ არის გამორიცხული, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო რკინისა და სხვა ლითონით იარაღის დამზადების ცენტრი და არსენალი, რომლის ხელში ჩაგდებას ალბათ, ნებისმიერი დამპყრობელი ეცდებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ასევე მოიხსენიებს ქვემო ქართლში ჭაპალას დასავლეთით „ჴევი სარკინეთისა“, სადაც „ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა“, მის დასავლეთით კი ასახელებს მაშავერას ერთ-ერთ შენაკადს – ფოლადაურს. საკუთრივ ფოლადი, რომელიც რკინის შენადნობია და მეტი სიმტკიცით გამოირჩევა, სულხან-საბა ორნელიანის განმარტებით, არ არის ქართული წარმოშობის სიტყვა და მკვლევარი მის შესატყვისად ასახელებს „ბასრს“, როგორც ფოლადი, რკინა. სოფ. სარკინეთი ასევე ფიქსირდება დმანისის რაიონში გომარეთის პლატოზე.

გურულ დიალექტზე „რკინა ეწოდება ცულს, ქიზიყურ დიალექტზე – „რკინარკუნა“ რკინის ნამტვრევს, რაჭულ დიალექტზე – „რკინიკეტი“ – ძალაყინს. რკინას, გარდა ლითონთან დაკავშირებული სახელწოდებისა, ძველ ქართულად, „მახვილის, ჯაჭვის“ მნიშვნელობაც ჰქონდა და ასოცირდებოდა ბრძოლასთან (შდრ. „რკინება/რკინობა/შერკინება/შებრძოლება/ბრძოლა; „რკენა/მორკინალი/მორკინალობა“; რკინება/რკენა - ჭიდაობა). „რკინება-შერკინებას“ უნდა უკავშირდებოდეს ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა „ორკინე“ და „საკრისი“.

ი. ტატიშვილი მიიჩნევს, რომ ხათური „kinavar“[4] („ლი-

[4] ი. ტატიშვილი ფიქრობს, რომ „თუ kinavar, მართლაც მასალად მივიჩნიეთ, ბილინგვის ხეთურ ნაწილში მისი შუმერული შესატყვისიდან (URUDU) გამომდინარე, ის უნდა ვთარგმნოთ, როგორც სპილენძი“ (ი. ტატიშვილი).

თონი, სპილენძი, რკინა“), რომელიც ეტიმოლოგიურად რკინას ან მის რომელიმე სახესახვაობას აღნიშნავდა, ეტიმოლოგიურად შეიძლება ქართულ რკინასაც უკავშირდებოდეს. მართლაც, მეგრულად რკინას „კინა“ ეწოდება. სავსებით ვეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას, რომ „kinavar“-ის „ქართულ რკინასთან დაკავშირება შეიძლება საინტერესო იყოს ხათურ-ქართველური ენობრივი და კულტურული კონტაქტების კვლევისთვის, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ ანატოლიის, როგორც ერთიანი მეტალოგენური კერის შესწავლის თვალსაზრისითაც“ (ი. ტატიშვილი).

რკინა ამავე დროს სიმტკიცესთან ასოცირდება, „სარკინესა“ და მსგავსი სახელების ქართულ წყაროებში განსაზღვრა „მტკიცედ მოზღუდვილი“ ამტკიცებს მას, რაც სემანტიკურად გულისხმობს, როგორც ბუნებრივ სიმაგრესა და სიმტკიცეს, „როგორც კლდოვანი, ძნელად მისადგომი ადგილისა“. ვახუშტი ბაგრატიონი ვერის ხეობაში ასახელებს „რკინის ციხეს“ – „უქვიტკირო კლდისაგან მოზღუდვილი“, რომელსაც სამადლოზე უთითებს. ამავე ხეობაში უთითებს ასევე, „ლასტის ციხეს“. ლასტი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „დაწნული ილეკრო“, ასევე ჩელტი. საკუთრივ ჩელთი კი ახსნილი აქვს, როგორც „ბრტყელი მახვილი“. ლასტის ციხის ზემოთ ვახუშტი ბაგრატიონი უთითებს წვერის ციხეს, რომელიც წვერის წმ. გიორგის სახელწოდებითაც არის ცნობილი, იგი შესაძლოა „წვერის სპარსანგელოზის“ მსგავსი სალოცავიც ყოფილიყო. ყველა ეს ციხეები სტრატეგიულ ადგილებზე არის ლოკალიზებული, იქ სადაც ვერის ხეობის შემდინარე ხევები უერთდე-

ბა მდინარეს. რკინის ციხის ქვემოთ, ახალდაბის დასავლეთით მითითებულია უძო (წმ. გიორგის ეკლესია), „მჭურეტი კოჟრისა და ტფილისისა“. ამ ციხეთა განლაგება, მათი სახელწოდებები და ფუნქციები გვაფიქრებინებს, რომ იკვეთება ერთი ლოკალური სტრატეგიული მნიშვნელობის გამაგრებული ინფრასტრუქტურა, რომელიც თბილისისკენ მიმავალ გზებს კეტავდა და აკონტროლებდა.

ვახუშტი ბაგრატიონი რკინის, როგორც მტკიცეს მნიშვნელობით ასახელებს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან (საქართველოს ყელი) მთას სახელწოდებით „რკინის პალო“. ასევე, „რკინის ჯვარს“ – კერძოდ, სამცხიდან იმერეთში „გარდავალს აქედან გზა კაკას ჴიდზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის ჯუარი“. ჯვარი ამ შემთხვევაში გზაჯვარედინის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

რკინას სვანურად „ბერეჟ“ ჰქვია. ამასთან დაკავშირებით, სემანტიკურად საინტერესოდ გვეჩვენება ერთი ძველი ქართული სიტყვა – კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ბერილი“ არის „გამოყვანილი ილეკრო“, ილეკროს სადნობელად მოიხსენიებს „ბრძმედს“. საკუთრივ ილეკროს კი სახელოვანი მეცნიერი განმარტავს, როგორც ზოგადად ლითონის სახელწოდებას: „ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად“. ვახუშტი ბატონიშვილი გურიის სამთავროს ერთ-ერთ საგვარეულოდ ასახელებეს ბერეჟიანნი. გურიაში ასევე, არის სოფ. „გორაბერეჟოული“, სადაც იყო ერისთავთა რეზიდენცია.

ვახუშტი ბაგრატიონი ჯეჯორას ხეობაში ასახელებს წედისს, სადაც „არს ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა“. არ არის გამორიცხული, რომ აქ ხდებოდა რკინის დამუშავებაც და შესაძლოა, ეს სახელი უკავშირდებოდეს „წიდას“, როგორც რკინის წიდის, ნარჩენის მნიშვნელობით.

ქართლის (იბერიის) სამეფოს საეკლესიო გეოგრაფიიდან: საეპისკოპოსოები

გიორგი ჭეიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ევროპის უნივერსიტეტი

ახლადგაქრისტიანებული ქართლის სამეფოს საეკლესიო მოწყობის საკითხი დიდი ხანია, რაც მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. კანონიკური წყობილების შესწავლას მრავალი პრობლემა უკავშირდება, მათ შორისაა უძველესი საეპისკოპოსო ცენტრების დადგენა. ამ მხრივ, არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოითქვა, რაც კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისათვის. საკითხისადმი მიბრუნება რამდენიმე გარემოებით აიხსნება: სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის, დასავლურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ახალი თვალსაზრისები, წერილობითი წყაროების ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ისევე როგორც უძველესი ქრის

ტიანული ტაძრების არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული კვლევა მნიშვნელოვნად ავსებს არსებულ ცოდნას და საშუალებას გვაძლევს, უფრო სრულად წარმოვიდგინოთ ქართლის სამეფოს საეკლესიო გეოგრაფია IV საუკუნიდან VI საუკუნის დასაწყისამდე.

ამ მონაცემების კვლევის საფუძველზე ქართლის სამეფოს საეკლესიო გეოგრაფიის განვითარება IV საუკუნიდან VI საუკუნის დამდეგამდე ასე წარმოგვიდგება: ქრიტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართლის სამეფო შეადგენდა ერთ მთლიან ეპარქიას, რომელსაც სათავეში ეპისკოპოსი ედგა. IV საუკუნის დასასრულისთვის ივარაუდება ორი-სამი საეპისკოპოსოს წარმოქმნა და ქართლის ეკლესიის მეთაურის მიერ მთავარეპისკოპოსის წოდების მიღება; თუმცა, ეს საეპისკოპოსოები არ იდენტიფიცირდება. პირველი ცნობები ქართლის სამეფოს ეპარქიებად დაყოფის შესახებ V საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ამ დროისთვის არსებობდა შემდეგი საეპისკოპოსოები: სამეფო სახლის, ურბნისის და წილკნის (შიდა ქართლი), პიტიახშის სახლის // ცურტავის, ბოლნისის (?), მანგლისის (?) (ქვემო ქართლი). ქვემო ქართლის საპიტიახშოს ეპისკოპოსები, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდნენ იერარქს, რომელიც ეპისკოპოსთა თავად იწოდებოდა. მისაღებია მოსაზრება, რომ ეპისკოპოსი ეყოლებოდათ რუსთავში დამკვიდრებულ რევიანებსაც, თუმცა ამ პერიოდისთვის ცნობები რუსთველის შესახებ არ გაგვაჩნია. დასტურდება, რომ ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე ქართლში არსებობდა არა ერთი (კ. კეკელიძე, ა. ბოგვერაძე), არამედ რამდენიმე ეპარქიული ეპისკოპოსი, ხოლო საეკლესიო რეფორმა გულისხმობდა არა მხო-

ლოდ ახალი კათედრების დაარსებას, არამედ ძველი ეპისკოპოსების შეცვლასაც. ვახტანგ გორგასლის მიერ 470-80-იან წლებში დაარსებული საეპისკოპოსოებია: სამთავრო, ნიქოზი (შიდა ქართლი), ნინოწმინდა, ხორნაბუჯი, ჩელეთი, ჭერემი, ნეკრესი (კახეთ-კუხეთ-ჰერეთი), აგარაკი (ქვემო ქართლი), ერუშეთი (არტაანი), წუნდა (ჯავახეთი) და ახიზა (კლარჯეთი). V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება ახალი საეპისკოპოსოები: სამთავისის და რუისის – შიდა ქართლში, კაწარეთის, ბოდბის და გიშის – კახეთ-ჰერეთში, აწყურის – სამცხეში, წყაროსთავის – ჯავახეთში, თბილისის და დმანისის – ქვემო ქართლში. ჩვენს დაკვირვებას შესწორება შეაქვს იმ დებულებაშიც, რომლის თანახმად ჯუანშერის მიერ დასახელებული ეპარქიები უძველესია, ხოლო *ეპისტოღეთა წიგნში* და უხტანესის „ისტორიაში“ ჩამოთვლილი საეპისკოპოსოები შემდგომ პერიოდში დაარსდა 506 წლამდე. კვლევამ აჩვენა, რომ სომხურ წყაროებში ნახსენები სამეფო სახლის, წილკნის და ცურტავის საეპისკოპოსოების წარმოქმნა წინ უსწრებდა ვახტანგ გორგასლის რეფორმას. V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის სამეფოში 30-მდე საეპისკოპოსო მოქმედებდა და სიმეონ ბეთ-არშამიელის ცნობაც ქართლის ოცდაცამეტი ეპისკოპოსის შესახებ შორს არ დგას ისტორიული ჭეშმარიტებისგან.

კვლავ ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* წყაროთმცოდნეობითი ანალიზისათვის: „ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა“

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენებაში განხილული იქნება მეთერთმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრებაში* დაცული ერთი მონაცემი. რომელიც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის ირანში ლაშქრობას შეეხება.

აღნიშნული ისტორიკოსის მიხედვით, მირიანი სპარსთა მეფის ქასრე არდაშირის (ანუ შაჰანშაჰ არდაშირის) შვილი იყო. როცა მირიანი ორმოცი წლის გახდა, მამამისი გარდაიცვალა. მირიანმა გადაწყვიტა შეწინააღმდეგებოდა ირანში მყოფი მისი უმცროსი ძმის სურვილს დაეკავებინა ტახტი. მირიანის აზრით, მას, როგორც ასაკით უფროსს, ჰქონდა ამ შემთხვევაში უპირატესობა.

მირიანის ძმასაც ჰქონია კონტრარგუმენტი: მირიანის ასაკით უფროსობას, მისი მითითებით, მირიანის ხარჭისაგან წარმომავლობა აქარწყლებდა. მას კი თავი მოჰქონდა იმით, რომ დედამისი, რომელიც თურმე ცნობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა, დედოფალი იყო. საქმის გასარჩევად, მირიანი თავისი მხედრობით ირანის-

კენ წასულა, მაგრამ ქვეყნის მოხუცებულებს//უხუცესებს (ცხადია, იგულისხმება არა ასაკი, არამედ სასანურ ირანში არსებული უზენაესი საბჭოს წევრები) ძმებს შორის სისხლისღვრა არ დაუშვიათ და თავად მოუგვარებიათ საქმე. შაჰანშაჰობა მირიანის ძმისათვის უბოძებიათ. ამის საპირწონედ მირიანისათვის დაუმტკიცებიათ მის ხელთ უკვე არსებულ ტერიტორიების სრული განკარგვის ნება და ამის დამატებით გადაუციათ მთელ რიგ სხვა პროვინციებზე კონტროლის უფლება.

აღნიშნული ცნობა თითქმის არასოდეს ყოფილა სამეცნიერო განხილვის საგანი. ამის მიზეზი შემდეგია: მკვლევართა მნიშვნელოვან ნაწილს სინამდვილის ამსახველად არ მიაჩნია ლეონტი მროველის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მირიანი იყო სასანიანი შაჰანშაჰის შვილი. აქედან გამომდინარე მირიანის ბიოგრაფიის ლეონტი მროველისეული რეპრეზენტაცია მათთვის მთლიანად ფიქციაა. მაგრამ, აქ საინტერესო ისაა, რომ მკვლევართა ის ნაწილიც კი, რომელიც ინფორმაციას მირიანის უცხოურ წარმომავლობის შესახებ ზოგადად ნდობით ეკიდება, მირიანის სასანიანობას და ამასთან დაკავშირებულ მონათხრობის დეტალებს მაინც გამონაგონად თვლის და, შესაბამისად, მას არც სერიოზული შესწავლის ღირსად სახავს.

თავდაპირველად ჩემს ერთ-ერთ მონოგრაფიაში (ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში,* 2009, გვ. 117) ვაჩვენე, რომ ლეონტის ცნობა მირიანის წარმომავლობის შესახებ ნდობის ღირსია და ქართველ მეფეთა ცხოვრების „სპარსთა მეფე“ იგივდება

მესამე სასანიან შაჰანშაჰთან ჰორმიზდ–არდაშირთან იგივე ჰორმიზდ პირველთან. ეს დასკვნა მოგვიანებით გამოსულ ჩემს ნაშრომებში გავიმეორე და კიდევ უფრო მკაფიოდ ფორმულირებული არგუმენტებით გავამყარე (ჩხარტიშვილი. *საქართველო III-V საუკუნეებში: ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია,* 2018, გვ. 28-48); (ჩხარტიშვილი. ლეონტი მროველის მონათხრობი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ: ისტორია თუ პოეზია? საისტორიო მეცნიერების სამსახურში. პროფესორ ოთარ ჯანელიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი *სამეცნიერო კრებული*, 2024, გვ 402-414); (Chkhartishvili. “Persian King” of Georgian Chronicles and Shahanshah Hormizd I, *Hunara: Journal of Ancient Iranian Arts and History*, 2024, 2, https://doi.org/10.22034/hunara.2024.210739).

თუმც საგანგებო არგუმენტების მოხმობის გარეშეც, ვფიქრობ, სპეციალისტებისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ლეონტი მროველის ამ ცნობის ხელაღებით უარყოფა მართებული არაა, არაფერი უჩვეულო ან მოულოდნელი არ გახლავთ იმ ფაქტში, რომ ქართლის ტახტზე მეოთხე საუკუნის დასაწყისში იმდროინდელი ირანის მმართველი დინასტიის – სასანიანების – წარმომადგენელი მჯდარიყო. მესამე საუკუნიდან მოყოლებული აღნიშნულ დრომდე სამხრეთ კავკასია იყო ირანის გავლენის სფერო. ირანის მიერ კონტროლირებადი პროვინციების (არაირანის) მმართველები (შაჰები ანუ ფაქტობრივ მეფის ნაცვლები) ჩვეულებრივ შაჰანშაჰების შვილები იყვნენ. მაგალითად, ქართლის მეზობელ სომხეთში, მესამე საუკუნის ადრეული ორმოცდაათი-

ანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე ამავე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე, ტახტი ეკავ-ათ ირანის ძლევამოსილი შაჰანშაჰის შაბურ პირველის ვაჟიშვილებს, ზემოთ უკვე ნახსენებ ჰორმიზდ-არდა-შირს და მის უმცროს ძმას ნერსეჰს ანუ იგივე ნერსეჰ პირველს.

რაც შეეხება კონკრეტულად მირიანის ირანში ლაშ-ქრობის შესახებ ცნობას, მისი დეტალური ანალიზი აჩ-ვენებს, რომ ის არ ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალი-ებს. მართალია, სხვა წყაროებით ამ ცნობის შემოწმება ვერ ხერხდება, მაგრამ, ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ცნობა უგულებელვყოთ. ის ლო-გიკურად გამართულ და ისტორიულ კონტექსტთან თავ-სებად ინფორმაციას შეიცავს. ლეონტი მროველის წყა-რო უნდა ყოფილიყო მირიანის თანადროული საშუალო სპარსულად დაწერილი თხზულება. ამგვარი ტექსტის არსებობის ვარაუდის საფუძველს კი გვაძლევს ისტო-რიული ვითარების ანალიზი, კერძოდ, ჰორმიზდ-არდა-შირის მთელი ისტორია, რომელიც აჩვენებს იმას, რომ ის თავის ძეს მირიანს მომავალ შაჰანშაჰად სახავდა. სამხრეთ კავკასიაში სამეფო ტახტის დაკავება ირანელი პრინცისათვის ხომ ერთგვარი ტრამპლინი იყო შაჰან-შაჰობის მოსაპოვებლად. თავად ჰორმიზდ-არდაშირს სწორედ ამგვარი გამოცდილება ჰქონდა. ბუნებრივია, მისი გარდაცვალების შემდეგ მირიანთან დაკავშირე-ბით ამ გეგმას ჩაშლის საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართლში ჰორმიზდ-არდაშირმა დატოვა მირიანისადმი ლოიალური ირან-

ელთა მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთები, გასაგები გახდება, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ „პროექტს“ მირიანის გარემოცვა ადვილად არ შეელეოდა. აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მირიანის რეგენტისა და მამობილის მირვანოზის როლი, რომელიც მირიანის მცირეწლოვნობის დროს ქართლის ფაქტობრივ მმართველად უნდა დავსახოთ. ეს პიროვნება მირიანის შაჰანშაჰობის შემთხვევაში, ცხადია, ირანის იმპერიაში გამორჩეულ პოზიციას უმიზნებდა. სავარაუდოდ, მას უნდა ეზრუნა მირიანის ბიოგრაფიის სპარსულად დაფიქსირებაზეც ანუ ისეთი ტექსტის შექმნაზე, რომელიც სამომავლოდ გახდებოდა ირანის შაჰანშაჰ მიჰრანის (მირიანის) დიდებული ბიოგრაფიის ნაწილი. აი, ამით უნდა იხსნებოდეს მირიანის სიცოცხლეშივე მისი სპარსულენოვანი ბიოგრაფიის შექმნა, რომელიც, როგორც წყარო, საფიქრებელია, რომ გამოიყენა ლეონტი მროველმა.

ნიკო ბერძენიშვილი

130

www.ihe.tsu.ge

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი